

მდ. ქსნის კალაპოტისა და ნაპირების
დაცვის ღონისძიებების პროექტი

დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის
მდ. ქსნის გადაკვეთის მიდამოები (კმ ნიშნული 99+624)

სოფ. ქსოვრისის მიდამოები
მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტები

სკრინინგის ანგარიში მოამზადა
გარემოსდაცვითმა საკონსულტაციო
კომპანია შპს „ძელქვამ“

ანზორ სვანიძე



დირექტორი

დეკემბერი, 2022 წ.

სარჩევი

1	ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ	1
2	გარემოსდაცვითი კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმები	3
2.1	საქმიანობის მახასიათებლები	3
2.2	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა.....	11
2.2.1	საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა	11
2.2.2	საპროექტო ტერიტორიის მიმართება სენსიტიურ რეცეპტორებთან.....	12
2.3	დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედება.....	13
2.4	საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი მახასიათებლები	14
2.4.1	მდ. ქსნის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება	14
2.4.2	წყლის მაქსიმალური ხარჯები	15
2.4.3	წყლის მაქსიმალური დონეები.....	17
2.4.4	კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე	19
2.4.5	საპროექტო ტერიტორიის გეომორფოლოგიური დახასიათება	20
2.4.6	საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური პირობები.....	20
2.4.7	საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები.....	21
2.4.8	საპროექტო ტერიტორიის ჰაბიტატები.....	22
2.4.9	კულტურული მემკვიდრეობა	23
3	მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დაცვის ღონისძიებების პროექტი	23
3.1	მდინარის კალაპოტის დაცვის ღონისძიებები	23
3.2	მდინარის მარჯვენა ნაპირის დაცვის ღონისძიებები.....	23
3.3	მდინარის მარცხენა ნაპირის დაცვის ღონისძიებები	24
3.4	მიწის სამუშაოები	25
3.5	ქვების გრადირება.....	25
3.6	სამშენებლო სამუშაოების მოცულობები და გრაფიკი	26
დანართი 1	სამშენებლო ტერიტორიის საზღვრებში მოხვედრილი ხემცენარეების სატაქსაციო აღწერა	41
დანართი 2	ტყეკაფის აღრიცხვის უწყისები და პასპორტები სატყეო ფონდის მიწის ნაკვეთებისათვის	51

ცხრილები

ცხრილი 1	დროებითი უბნების გეოგრაფიული კოორდინატები.....	5
ცხრილი 2	ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების უბნის გეოგრაფიული კოორდინატები.....	6
ცხრილი 3	სამშენებლო ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები.....	11
ცხრილი 4	ანალოგის მეთოდით დადგენილი მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯები, მ ³ /წმ.....	16
ცხრილი 5	მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯები WREP-ის კვეთში	17
ცხრილი 6	მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები.....	18
ცხრილი 7	მდ. ქსნის ჰიდრავლიკური ელემენტები.....	18
ცხრილი 8	რიპრაპის გრადირება.....	25
ცხრილი 9	სამშენებლო სამუშაოების მოცულობათა უწყისი.....	26
ცხრილი 10	სამშენებლო მოცულობების ჯამური ცხრილი.....	27
ცხრილი 11	ძირითადი სამშენებლო მექანიზმების ჩამონათვალი	28
ცხრილი 12	მშენებლობის წარმოების კალენდარული გრაფიკი.....	28

ნახაზები

ნახაზი 1	საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა.....	29
ნახაზი 2	საპროექტო ტერიტორიისა და დაგეგმილი სამუშაოების სქემა	30
ნახაზი 3	პროფილები	31

1 ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ

დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP) კვეთს მდ. ქსანს სოფ. ქსოვრისის ჩრდილო-დასავლეთით, კმ ნიშნულთან 99+624. მდინარის კალაპოტი და ფერდები გამაგრებულია ფლეთილი ქვებით მოწყობილი კონსტრუქციით. კალაპოტის დამცავი და ნაპირსამაგრი სტრუქტურების არსებობის მიუხედავად, მდინარის წყალუხვობის პერიოდში ინტენსიურად ირეცხება მისი კალაპოტი და ზიანდება არსებული ფლეთილი ქვებით მოწყობილი დამცავი ნაგებობა, რაც საფრთხეს უქმნის მილსადენის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

დაგეგმილი პროექტი ითვალისწინებს მდინარის კალაპოტსა და ფერდებზე არსებული ქვაყრილის მოდიფიკაციას, რაც მოიცავს დამატებითი ფლეთილი ქვების ნაგებობის მოწყობის სამუშაოებს მდინარის კალაპოტის მთელ სიგანეზე და ფერდებზე.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტებში, სოფლებს ქსოვრისსა და ოკამს შორის. WREP ნავთობსადენის მდ. ქსნის გადაკვეთის მიდამოებში (კმ ნიშნული 99+624) დაგეგმილი მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დამცავი ღონისძიებების დეტალური პროექტი დამუშავებულია შპს აიდისის მიერ, BP საქართველოსა და შპს აიდისის შორის კონტრაქტის საფუძველზე (ჩარჩო ხელშეკრულება # 4410015150, შესყიდვის ორდერი # 4301332874).

საპროექტო სამუშაოები მოიცავს რიპრაპის მოწყობას მდინარის კალაპოტსა და მის ორივე მხარეს, კერძოდ:

- **მდინარის კალაპოტის დაცვის ღონისძიებები:** მდინარის კალაპოტის მარჯვენა ნაწილში მოეწყობა 20 მ სიგრძის, საშუალოდ 51 მ სიგანის და 1,8 მ სისქის რიპრაპი, ხოლო კალაპოტის მარცხენა ნაწილში - 20 მ სიგრძის, საშუალოდ 127 მ სიგანის და 1,8 მ სისქის რიპრაპი. ახალი რიპრაპი მიეგმება არსებულ რიპრაპს. პროექტი ასევე ითვალისწინებს არსებული ქვაყრილის შეკეთებას იმ ადგილებში, სადაც იგი დაზიანებულია წყალდიდობებით.
- **მდინარის მარჯვენა ნაპირის დაცვის ღონისძიებები:** მდინარის ქვედა და ზედა ბიეფში მოეწყობა შესაბამისად 52 მ და 45 მ სიგრძის ახალი ნაპირდამცავი რიპრაპი, რომლის სისქეც იქნება 1,35 მ; აგრეთვე მარჯვენა ნაპირსამაგრი რიპრაპის გასწვრივ დაგეგმილია 6,88 მ სიგრძისა და 1,8 მ სისქის რიპრაპის ფართუკის მოწყობა მდინარის ქვედა და ზედა ბიეფში, ნაპირდამცავი ნაგებობის ეროზიისაგან დაცვის მიზნით. მდინარის ქვედა ბიეფში ნაპირდამცავი რიპრაპი პირდაპირ უერთდება მდინარის კალაპოტის დამცავ რიპრაპს.
- **მდინარის მარცხენა ნაპირის დაცვის ღონისძიებები:** მდინარის ქვედა და ზედა ბიეფში მოეწყობა შესაბამისად 41 მ და 59 მ სიგრძის ახალი ნაპირდამცავი რიპრაპი სისქით 1,35 მ. მარჯვენა ნაპირის ანალოგიურად, მარცხენა ნაპირსამაგრი რიპრაპის გასწვრივ ასევე დაგეგმილია 6,88 მ სიგრძის და 1,80 მ სისქის რიპრაპის ფართუკის მოწყობა, ნაპირსამაგრი ნაგებობის ეროზიისგან დასაცავად. მდინარის ქვედა ბიეფში ნაპირდამცავი რიპრაპი პირდაპირ უერთდება მდინარის კალაპოტის დამცავ რიპრაპს.

მდ. ქსანი სათავეს იღებს ყელის მაღალამთიან ქვაბულში არსებული ყელის ტბიდან, 2914,0 მ-ის სიმაღლეზე და ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან სოფ. ხიდისყურთან. მდინარის სიგრძე 84 კმ-ია, საერთო ვარდნა - 2439 მ, საშუალო ქანობი - 29,0‰, წყალშემკრები აუზის ფართობი - 885 კმ², ხოლო აუზის საშუალო სიმაღლე 1470 მ-ია. მდ. ქსანი საზრდოობს თოვლის, წვიმისა და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის

წყალდიდობით, შემოდგომის წყალმოვარდნებით და ზაფხულისა და ზამთრის არამდგრადი წყალმცირობით.

დამუშავებულია საპროექტო ტერიტორიის შესახებ არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა გეომორფოლოგიური, გეოლოგიური, საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შესახებ. დამატებით ჩატარდა საპროექტო ტერიტორიისა და მისი მიდამოების რეკონოსტირების სამუშაოები, ტოპოგრაფიული აგეგმვა და საველე ბოტანიკური და ზოოლოგიური შესწავლა.

წინამდებარე მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დამცავი ღონისძიების საინჟინრო გადაწყვეტა შემუშავდა მოპოვებული მასალისა და საველე კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმების შესაბამისად.

პროექტის განმხორციელებელია სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალი“.

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი	სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალი“ (ს/ნ201955090)
იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, იალბუჯის ქუჩა 14
საქმიანობის განხორციელების ადგილი	მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტები, WREP-ის მდ. ქსნის გადაკვეთა, კმ ნიშნული 99+624 (სოფლებს ქსოვრისსა და ოკამს შორის)
საქმიანობის სახე	მდ. ქსნის კალაპოტისა და ნაპირების დაცვის ღონისძიებების პროექტი (გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 7)
საკონტაქტო პირი:	ნიკოლოზ ლაითაძე
საკონტაქტო ტელეფონი:	599574939
ელ-ფოსტა:	laitn0@bp.com

2 გარემოსდაცვითი კოდექსის მე-7 მუხლით გათვალისწინებული კრიტერიუმები

2.1 საქმიანობის მახასიათებლები

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ. ქსნის გადაკვეთის მიდამოებში, კმ ნიშნულთან 99+624, მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების სოფლებს ქსოვრისსა და ოკამს შორის (იხ. ცხრილი 3, თავი 2.2.1).

მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დაცვის ღონისძიებების პროექტით გათვალისწინებულია მდინარის კალაპოტის მარჯვენა ნაწილში 20 მ სიგრძის, საშუალოდ 51 მ სიგანის და 1,8 მ სისქის რიპრაპის, ხოლო კალაპოტის მარცხენა ნაწილში - 20 მ სიგრძის, საშუალოდ 127 მ სიგანის და 1,8 მ სისქის რიპრაპის მოწყობა. ახალი რიპრაპი მიეზღოება არსებულ რიპრაპს. მდინარის მარჯვენა ნაწილში, ქვედა და ზედა ბიეფში მოეწყობა შესაბამისად 52 მ და 45 მ სიგრძის ახალი ნაპირდამცავი რიპრაპი, რომლის სისქეც იქნება 1,35 მ; აგრეთვე მარჯვენა ნაპირსამაგრი რიპრაპის გასწვრივ დაგეგმილია 6,88 მ სიგრძისა და 1,8 მ სისქის რიპრაპის ფართუკის მოწყობა მდინარის ქვედა და ზედა ბიეფში, ნაპირდამცავი ნაგებობის ეროზიისაგან დაცვის მიზნით. მდინარის ქვედა ბიეფში ნაპირდამცავი რიპრაპი პირდაპირ უერთდება მდინარის კალაპოტის დამცავ რიპრაპს. მდინარის მარცხენა ნაპირზე, ქვედა და ზედა ბიეფში მოეწყობა შესაბამისად 41 მ და 59 მ სიგრძის ახალი ნაპირდამცავი რიპრაპი სისქით 1,35 მ. მარჯვენა ნაპირის ანალოგიურად, მარცხენა ნაპირსამაგრი რიპრაპის გასწვრივ ასევე დაგეგმილია 6,88 მ სიგრძის და 1,80 მ სისქის რიპრაპის ფართუკის მოწყობა, ნაპირსამაგრი ნაგებობის ეროზიისაგან დასაცავად. მდინარის ქვედა ბიეფში ნაპირდამცავი რიპრაპი პირდაპირ უერთდება მდინარის კალაპოტის დამცავ რიპრაპს.

პროექტი ასევე ითვალისწინებს არსებული ქვაყრილის შეკეთებას იმ ადგილებში, სადაც იგი დაზიანებულია წყალდიდობებით. დაგეგმილი პროექტის დეტალური აღწერა მოყვანილია მე-3 თავში.

საქმიანობის მასშტაბი შეზღუდულია - საპროექტო სამუშაოები შემოიფარგლება მარტივი კონსტრუქციის რიპრაპის მოწყობითა და არსებული დაზიანებული რიპრაპის შეკეთებით.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების შედეგად, მდ. ქსანზე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. სამშენებლო ტერიტორიაზე არ იქნება შეტანილი არავითარი სხვა სახის სამშენებლო მასალა, პროექტით გათვალისწინებული ბუნებრივი ფლეთილი (ბაზლიტის ან ტემენიტის) ქვებისა და გეოტექსტილის (Terram 3000 GT) გარდა.

ბუნებრივი რესურსებიდან უშუალო შეხება შესაძლებელია იყოს მდინარის წყალთან ფლეთილი ლოდების კალაპოტსა და ფერდებზე განთავსების, არსებული რიპრაპის დაშლისა და შეკეთების, გეოტექსტილის მონტაჟისა და მის თავზე ქვიშა / ხრეშის დამცავი ფენის მოწყობის პროცესში. წყლის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება სხვადასხვა გაუთვალისწინებელ შემთხვევას, მაგ.: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვ., რაც თავიდან იქნება აცილებული სამშენებლო მოედანზე სამუშაოების წარმოების მკაცრი კონტროლის საშუალებით.

სამშენებლო სამუშაოების ჩატარება დაგეგმილია წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას. სხვა სახის პოტენციური უარყოფითი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე არ არის მოსალოდნელი.

კალაპოტისა და ნაპირების დაცვის სამუშაოების ჩატარების პერიოდში არ წარმოიქმნება სახიფათო ნარჩენები; მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა უმნიშვნელო მოცულობით, რომელთა მართვა განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ტერიტორიის ფარგლებში გრუნტის და / ან მდინარის დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში: ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებიდან საწვავის ან ზეთების გაჟონვისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაში.

საპროექტო ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკა, რომელსაც გავლილი აქვს ტექნიკური დათვალიერება, რათა გამოირიცხოს საპროექტო ტერიტორიის დაბინძურება ზეთებითა და საპოხი საშუალებებით.

სახიფათო ნარჩენების (მაგ., ზეთებით დაბინძურებული ჩვრები, და სხვ.) წარმოქმნა გამოირიცხება უბანზე გამოყენებული ტექნიკის გამართულობის მკაცრი კონტროლის შედეგად. შესაბამისად, ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება საჭირო არ არის.

საქმიანობის პროცესში უმნიშვნელო მოცულობით წარმოქმნილი არასამშენებლო ნარჩენები დროებით განთავსდება წინასწარ გამოყოფილ, დროებითი დასაწყობების დაცულ უბნებზე. სამეურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდება დახურულ კონტეინერებში. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სამუშაოების დასრულების შემდგომ საპროექტო ტერიტორია მოწესრიგდება და აღდგება სამუშაოების დაწყებამდე არსებულ მდგომარეობამდე. აქედან გამომდინარე, რაიმე სახის კუმულაციური ზემოქმედება გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან აღსანიშნავია ატმოსფერული ჰაერის უმნიშვნელო დაბინძურება და სამშენებლო ტექნიკის ხმაური.

მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დაცვის სამუშაოების ჩატარების პერიოდში **ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება** მოსალოდნელია მხოლოდ მოძრავი წყაროებიდან, კერძოდ გამოყენებული ტექნიკის ძრავების მუშაობით გამოწვეული გამონაბოლქვებით, რაც არსებით უარყოფით ზემოქმედებას არ მოახდენს ჰაერის ხარისხის ფონურ მდგომარეობაზე.

პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონალური ობიექტები გამოყენებული არ იქნება. ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების წყაროები წარმოდგენილი იქნება მხოლოდ სამშენებლო ტექნიკით, რომელიც იმუშავებს მონაცვლეობით. ჰაერში CO₂-ის გაფრქვევა მოხდება სამშენებლო ტექნიკის მუშაობის შედეგად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ამტვერება მოხდება ინერტული მასალების გამოყენების პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ სამუშაოები ჩატარდება მხოლოდ შეზღუდული დროის განმავლობაში. შესაბამისად, დაგეგმილი სამუშაოები ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ნეგატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

საპროექტო ტერიტორიაზე **ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა** სამშენებლო ტექნიკა. განსახორციელებელი სამუშაოების მასშტაბიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ

სამშენებლო ტექნიკის გამოყენების ინტენსივობა დაბალია, შესაბამისად, დაბალი იქნება ხმაურისა და ვიბრაციის დონეები. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის წყაროები აღარ იქნება.

სამშენებლო ტექნიკის მუშაობა რეგლამენტირებული იქნება დღის სამუშაო საათებით და ფიზიკურად ზემოქმედებას არ მოახდენს ადამიანების ჯანმრთელობაზე.

მანძილი საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე (მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქსოვრისი) შეადგენს 370 მ-ს.

კალაპოტისა და ნაპირების დაცვის სამუშაოების ჩატარების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ იქმნება სამშენებლო ბანაკი. სამუშაოთა განსახორციელებლად საჭირო იქნება ორი დროებითი უბნის გამოყენება; ესენია:

1. დროებითი მოედანი - საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთი საზღვრიდან, 25 მ მანძილზე აღმოსავლეთით, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე. ამ უბანზე განთავსდება საოფისე კონტეინერი, გამოიყოფა მსუბუქი მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის პარკირების ზონა და დასაწყობების ზონა, სადაც დროებით დასაწყობდება საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო მასალები და იარაღები, როგორცაა გეოტექსტილი, ხის მასალა, ბარი, თოხი, წერაქვი და სხვ. აგრეთვე, სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ, მოედნის საზღვრებში გამოიყოფა ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დროებითი დასაწყობების უბანი (დეტალური ინფორმაცია მოყვანილია ქვემოთ, გვ. 5-7).
2. რიპრაპის ქვების დროებითი დასაწყობების უბანი - საპროექტო ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. ქსნის მარცხენა ნაპირზე. ამ უბანზე მოხდება შემოტანილი ბუნებრივი ფლეთილი ქვების დროებითი დასაწყობება.

დროებითი უბნების კოორდინატები მოყვანილია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1 დროებითი უბნების გეოგრაფიული კოორდინატები

უბანი	კოორდინატები	
დროებითი მოედანი	459502.00	4648696.00
დროებითი მოედანი	459469.00	4648681.00
დროებითი მოედანი	459463.00	4648688.00
დროებითი მოედანი	459463.00	4648692.00
დროებითი მოედანი	459472.00	4648697.00
დროებითი მოედანი	459482.00	4648708.00
რიპრაპის ქვების დროებითი დასაწყობების უბანი	459419.95	4648624.50
რიპრაპის ქვების დროებითი დასაწყობების უბანი	459415.66	4648603.88
რიპრაპის ქვების დროებითი დასაწყობების უბანი	459363.09	4648614.20
რიპრაპის ქვების დროებითი დასაწყობების უბანი	459355.69	4648639.80

დროებით მოედანზე წარმოდგენილია ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, რომლის სისქეა 20სმ. პროექტის განსახორციელებლად საჭირო ინფრასტრუქტურის განთავსებამდე აუცილებელი იქნება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა დროებითი მოედნის მთლიან ტერიტორიაზე, რომლის საერთო ფართობია 448 მ². ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, განთავსება დასაწყობების უბანზე (დროებითი მოედნის ფარგლებში, სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვრის გასწვრივ; იხ. ცხრილი 2), დასაწყობება და რეკულტივაცია ჩატარდება „ნიადაგის ნაყოფიერი

ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენა მოიხსნება ექსკავატორის გამოყენებით. მოხსნილი ფენის მაქსიმალური მოცულობა იქნება 89.6 მ³. მისი დასაწყობება მოხდება დროებითი მოედნის საზღვრებში, სამხრეთ-აღმოსავლეთი კიდის გასწვრივ. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების უბნის კოორდინატები მოყვანილია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2 ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობების უბნის გეოგრაფიული კოორდინატები

უბანი	კოორდინატები	
ნიადაგის დასაწყობების უბანი	459502.00	4648696.00
ნიადაგის დასაწყობების უბანი	459469.00	4648681.00
ნიადაგის დასაწყობების უბანი	459467.64	4648682.58
ნიადაგის დასაწყობების უბანი	459499.92	4648697.25

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა განხორციელდება მაშინ, როდესაც ნიადაგი ოდნავ ტენიანი და ფხვიერია. ტენიანი გრუნტი საკმარისად მყარი უნდა იყოს, რომ გაუძლოს ექსკავატორის წონას და, ამავდროულად, არ დაზიანდეს ნიადაგის სტრუქტურა სველი ნიადაგის დატკეპნის და გაგლესის გამო. შესაბამისად, ნიადაგის მოხსნის სამუშაოები უნდა შეჩერდეს ხანგრძლივი ძლიერი წვიმის დროს და ასეთი წვიმის შემდეგ ან იმ შემთხვევაში, როდესაც ნიადაგის ზედაპირი, რომელზეც უნდა გაიაროს ექსკავატორმა, გაჟღენთილია წყლით.

მოხსნილი ნაყოფიერი ნიადაგის გროვების სიმაღლე, წყლის შემცველობა და დასაწყობების ხანგრძლივობა წარმოადგენს იმ ძირითად ფაქტორებს, რომლებსაც უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა შეუძლია თესლის ბანკის კონსერვაციაზე და ნიადაგის ზედა ფენის შემცველ ორგანულ მასალაზე.

ზემოთხსენებული ფაქტორების გამო და ნიადაგის ხარისხის შენარჩუნებისა და მისი ფიზიკური და ბიოლოგიური პირობების დარღვევის რისკის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, გამოყენებული იქნება შენახვის შემდეგი წესები:

- ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დასაწყობება მოხდება გროვებად ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას მათი თავისუფალი დრენაჟი, ხოლო გროვებს შორის, მათი სიგრძის გასწვრივ უნდა არსებობდეს სივრცე, წვიმის წყლის გადინებისთვის;
- ნიადაგის გროვის სიმაღლე, როგორც წესი, 2.0 მ-ზე ნაკლები იქნება;
- ნიადაგის გროვების ზედაპირი სუსტად დაიტკეპნება წვიმის წყლის შეღწევის შესაზღუდად;
- ნიადაგის გროვებს უნდა ჰქონდეს ბუნებრივი დახრის კუთხე 40°-მდე, მისი სტრუქტურისა და ტენიანობის გათვალისწინებით. ნიადაგის გროვების ფერდების დრენაჟი შესაძლებელია ღარებით ან, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა, მათი გადახურვა ეროზიისგან დამცავი ჯვალთით.

პროექტის დასრულებისთანავე (პროექტის ხანგრძლივობაა 67 დღე) მოხდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაბრუნება დროებით მოედანზე, სადაც განხორციელდება ნიადაგის ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია, კერძოდ: ნიადაგის დარღვეული ზედაპირი

მომზადდება ბიოლოგიური რეკულტივაციის განსახორციელებლად, რომელიც მოიცავს აგროტექნიკურ და, საჭიროების შემთხვევაში, ფიტომელიორაციულ ღონისძიებებს.

რიპრაპის ქვების დროებითი დასაწყობების უბანზე, სადაც დროებით განთავსდება რიპრაპის მოსაწყობად საჭირო ბუნებრივი ფლეთილი ქვები, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არის წარმოდგენილი (იხ. სურ. 1-2).

სამუშაოთა წარმოების პროცესში, რიპრაპის ქვების ტრანსპორტირება ერთი ნაპირიდან მეორეზე მოხდება თვითმცლელის გამოყენებით. ამისათვის გათვალისწინებულია მდინარის კალაპოტში წყალგამტარი მილების გამოყენებით დროებითი გადასასვლელის მოწყობა იმ მონაკვეთში, სადაც რიპრაპის ქვების ჩალაგების სამუშაოები არ ხორციელდება.

სურათი 1 რიპრაპის დასაწყობების უბნის ფრაგმენტი (ფოტოსურათის ცენტრალური ნაწილი)



სურათი 2 რიპრაპის დასაწყობების უბნის ზედაპირი



სამშენებლო ტერიტორიის საზღვრებში, ხემცენარეების ინვენტარიზაციის შედეგად აღირიცხა, ჯამში, 301 ინდივიდი; ესენია:

1. მაღალი ტირიფი (*Salix excelsa*) – 37 ინდივიდი
2. ტირიფი (*Salix sp.*) – 14 ინდივიდი
3. ჭადარი (*Platanus orientalis*) – 1 ინდივიდი
4. ფშატა ტირიფი (*Salix wilhelmsiana*) – 1 ინდივიდი
5. ქაცვი (*Hippophae rhamnoides*) – 3 ინდივიდი
6. შავი ვერხვი / ოფი (*Populus nigra*) – 223 ინდივიდი
7. ჩვეულებრივი მურყანი (*Alnus glutinosa* subsp. *barbata*) – 8 ინდივიდი
8. ცაცხვი (*Tilia begoniifolia*) – 2 ინდივიდი
9. ცრუქაცვია (*Robinia pseudoacacia*) – 4 ინდივიდი
10. ჭალის ვერხვი (*Populus canescens*) – 8 ინდივიდი.

აღნუსხული სახეობები არ არის შეტანილი საქართველოს წითელ ნუსხაში. დანართში 1 მოცემულია ხემცენარეთა სატაქსაციო აღწერა სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ არასატყეო და სატყეო ფონდის მიწებზე, ხოლო დანართში 2 მოყვანილია ტყეკაფის აღრიცხვის უწყისები და პასპორტები სატყეო ფონდის მიწის ნაკვეთებისათვის. სს „საქართველოს მილსადენის კომპანიის საქართველოს ფილიალმა“, როგორც დაგეგმილი პროექტის განმახორციელებელმა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართა შესაბამის უწყებებს (სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ეროვნული სატყეო სააგენტო) სამშენებლო ტერიტორიის საზღვრებში მოხვედრილი ხემცენარეების მოჭრაზე ნებართვის ასაღებად (იხ. დანართები 3-5: danarti 3 - GPC Co's Application to NASP of November 30 2022 - Ksani RVX; danarti 4- GPC Co's Application to National Forestry Agency of December 1, 2022; danarti 5 - GPC Co's Application to Roads Dep of November 30, 3022 - Ksani RVX).

მდინარის კალაპოტში რიპრაპის მოწყობამდე აუცილებელი იქნება ექსკავირებული ქვაბულიდან წყლის ნაკადის მოცილება. ამ მიზნით, არსებული კალაპოტის ფარგლებში, კალაპოტის სამუშაოთა წარმოების ნაწილიდან მოხდება ნაკადის გადამისამართება მეორე ნაწილში. აღნიშნული სამუშაოები ჩატარდება 2023 წლის 20 იანვრიდან 28 მარტამდე, იქთიოფაუნაზე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად (მდ. ქსანზე ტოფობის პიკური პერიოდია მაისი - ივლისი).

დაგეგმილი მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დამცავი კონსტრუქციის (ახალი რიპრაპების მოწყობა და არსებულის შეკეთება) აგების სამუშაოების პროცესში და ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიის ან / და კატასტროფის რისკი არ არსებობს. დაგეგმილი ღონისძიება ხელს შეუწყობს საპროექტო ტერიტორიისა და მის სიახლოვეს მდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მდგრადობას მდინარის კალაპოტისა და ნაპირების გამორეცხვისაგან დაცვის შედეგად.

კალაპოტისა და ნაპირების დამცავი რიპრაპების მოწყობა არ გამოიწვევს გარემოზე უარყოფით ზემოქმედებებს. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები უზრუნველყოფს საშიში გეოლოგიური პროცესების დამანგრეველი შედეგების პრევენციას.

2.2 დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა

2.2.1 საპროექტო ტერიტორიის მდებარეობა

მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დამცავი რიპრაპის მოწყობა დაგეგმილია WREP-ის მდ. ქსნის გადაკვეთის კალაპოტსა და ორივე ნაპირზე (კმ ნიშნული 99+624), მცხეთისა და კასპის მუნიციპალიტეტების სოფლებს ქსოვრისსა და ოკამს შორის. სამშენებლო ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები მოყვანილია მე-3 ცხრილში. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა ნაჩვენებია ნახ. 1-ზე.

ცხრილი 3 სამშენებლო ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები

უბანი	კოორდინატები	
სამშენებლო ტერიტორია	459146.92	4648762.16
სამშენებლო ტერიტორია	459162.37	4648784.02
სამშენებლო ტერიტორია	459231.11	4648779.50
სამშენებლო ტერიტორია	459257.35	4648786.91
სამშენებლო ტერიტორია	459281.47	4648781.30
სამშენებლო ტერიტორია	459300.94	4648755.90
სამშენებლო ტერიტორია	459339.75	4648746.30
სამშენებლო ტერიტორია	459361.61	4648730.60
სამშენებლო ტერიტორია	459400.43	4648721.01
სამშენებლო ტერიტორია	459412.21	4648722.09
სამშენებლო ტერიტორია	459429.28	4648737.96
სამშენებლო ტერიტორია	459460.58	4648721.75
სამშენებლო ტერიტორია	459438.77	4648698.43
სამშენებლო ტერიტორია	459444.56	4648636.20
სამშენებლო ტერიტორია	459462.72	4648617.47
სამშენებლო ტერიტორია	459444.88	4648600.19
სამშენებლო ტერიტორია	459423.57	4648593.45
სამშენებლო ტერიტორია	459391.34	4648600.91
სამშენებლო ტერიტორია	459349.29	4648596.60
სამშენებლო ტერიტორია	459329.20	4648599.46
სამშენებლო ტერიტორია	459304.91	4648585.37
სამშენებლო ტერიტორია	459290.09	4648603.12
სამშენებლო ტერიტორია	459236.10	4648597.72
სამშენებლო ტერიტორია	459235.66	4648633.93
სამშენებლო ტერიტორია	459189.55	4648660.88
სამშენებლო ტერიტორია	459193.53	4648676.53
სამშენებლო ტერიტორია	459177.18	4648740.78
რიპრაპი	459234.39	4648695.12
რიპრაპი	459245.57	4648698.53
რიპრაპი	459258.19	4648695.41
რიპრაპი	459253.89	4648669.70
რიპრაპი	459219.04	4648678.32
რიპრაპი	459206.09	4648654.14
რიპრაპი	459193.62	4648663.72
რიპრაპი	459203.29	4648678.51

უბანი	კოორდინატები	
რიპრაპი	459168.74	4648775.72
რიპრაპი	459196.70	4648752.39
რიპრაპი	459201.90	4648729.92
რიპრაპი	459188.86	4648733.14
რიპრაპი	459186.69	4648744.22
რიპრაპი	459159.87	4648763.17
რიპრაპი	459437.29	4648606.75
რიპრაპი	459421.47	4648628.29
რიპრაპი	459302.41	4648657.71
რიპრაპი	459307.21	4648677.12
რიპრაპი	459432.11	4648646.25
რიპრაპი	459431.53	4648673.16
რიპრაპი	459419.28	4648676.19
რიპრაპი	459416.31	4648701.56
რიპრაპი	459436.46	4648730.62
რიპრაპი	459447.69	4648720.12
რიპრაპი	459434.58	4648706.10
რიპრაპი	459434.41	4648672.45
რიპრაპი	459436.39	4648634.73

2.2.2 საპროექტო ტერიტორიის მიმართება სენსიტიურ რეცეპტორებთან

საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს შემდეგი სენსიტიური რეცეპტორების სიახლოვეს:

- ჭარბტენიანი ტერიტორია
- შავი ზღვის სანაპირო ზოლი
- ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორია, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები
- დაცული ტერიტორიები
- დასახლებული ტერიტორია - პროექტი ხორციელდება სოფლის გარეთ, დასახლებისგან მოშორებით (დაგეგმილი ღონისძიება ასევე უზრუნველყოფს მდინარის ნაპირების სიახლოვეს არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვას). უახლოესი საცხოვრებელი სახლი (მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქსოვრისი) მდებარეობს საპროექტო ტერიტორიიდან 370 მ მანძილზე.
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და სხვა ობიექტები.

სამუშაო ზონის სიახლოვეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენა პრაქტიკულად გამორიცხულია.

სამშენებლო ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან მათი რაიმე სახით გამოვლენის უკიდურესად ნაკლებსავარაუდო შემთხვევაში, სამუშაოთა მწარმოებელი ვალდებულია, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, შეწყვიტოს სამუშაოები და აღმოჩენის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

2.3 დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედება

მდ. ქსნის კალაპოტისა და ნაპირების დამცავი ახალი რიპრაპების მოწყობისა და არსებული რიპრაპის შეკეთების სამუშაოებს არ გააჩნია ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი.

საპროექტო ტერიტორიაზე სამუშაოების განხორციელებისას ადგილი არ ექნება გარემოზე მაღალი ხარისხის და კომპლექსურ ზემოქმედებას.

აღნიშნული ფონური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, რომელიც დროის მოკლე მონაკვეთში (საპროექტო სამუშაოების ხანგრძლივობაა 67 დღე) შესრულდება, მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე.

ფონური მდგომარეობის, სამუშაოების წარმოებისა პერიოდისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მოსალოდნელია უმნიშვნელო ზემოქმედება ნიადაგურ და მცენარეულ საფრებზე, რაც უკავშირდება დროებით მოედანზე ბალახოვანი მცენარეულობის მოცილებასა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნასა და დასაწყობებას (ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, დასაწყობების, ნაყოფიერების შენარჩუნებისა და უკან დაბრუნების სამუშაოების შესახებ მოყვანილია 2.1 თავში). ცხოველთა სამყაროზე კუმულაციური ზემოქმედების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

დაგეგმილი საპროექტო სამუშაოების ჩასატარებლად შესაძლოა საჭირო გახდეს, ჯამში, ათი სახეობისა და ქვესახეობის 301 ხემცენარის მოჭრა (იხ. თავი 2.1). აღნუსხული სახეობები არ არის შეტანილი საქართველოს წითელ ნუსხაში. უნდა აღინიშნოს, რომ აღრიცხული ხემცენარეების სახეობები ფართოდაა გავრცელებული საქართველოში; ერთ-ერთი სახეობა, კერძოდ ცრუაკაცია (*Robinia pseudoacacia*), არაადგილობრივი ინვაზიური მცენარეა. ხეების სატაქსაციო აღწერა წარმოდგენილია დანართებში 1 და 2.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილ პროექტს ექნება უმნიშვნელო კუმულაციური ზემოქმედება გარემოზე. პროექტის დასრულების შემდეგ კუმულაციური ზემოქმედების რისკები საერთოდ მოიხსნება.

აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია საპროექტო ტერიტორიის მდგრადობის გაუმჯობესება, პირველ რიგში, წყლისმიერი ეროზიისა და საშიში გეოლოგიური პროცესების პრევენციის უზრუნველყოფის გზით. ბუნებრივი ფლეთილი ქვით მოწყობილი მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დამცავი სტრუქტურები ჰარმონიულად შეერწყმება არსებულ ლანდშაფტურ გარემოს.

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკის, მოცულობების, საპროექტო ტერიტორიის შეზღუდული ფართობისა და პროექტის მოკლევადიანობის გათვალისწინებით, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკები უმნიშვნელოა. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში პერსონალის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოებაზე ზემოქმედების რისკები უმთავრესად უკავშირდება სამუშაოების წარმოების ნორმებისა და სტანდარტების დარღვევას (მაგ., სატრანსპორტო საშუალების ან / და ტექნიკის არასწორი მართვა, მუშაობა უსაფრთხოების მოთხოვნების უგულვებელყოფით და ა.შ.). სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმების შესრულებაზე. ზედამხედველის მიერ ინტენსიური მონიტორინგი

განხორციელდება რისკების მატარებელი სამუშაოების შესრულებისას. სამუშაო უბანი იქნება შემოსაზღვრული და სრულად დაცული გარეშე პირების შეღწევისაგან.

დაგეგმილი საპროექტო საქმიანობა არ გამოიწვევს გარემოზე სხვა მნიშვნელოვან ზემოქმედებას. პროექტი არ ითვალისწინებს ხანძარსაშიში, ფეთქებადსაშიში და მდინარის პოტენციურად დამაბინძურებელი ნივთიერებების შენახვა-გამოყენებას საპროექტო ტერიტორიაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან / და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის.

მშენებლობის პერიოდში საპროექტო სამუშაოების შესასრულებლად დამხმარე მუშახელის პოზიციებზე დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა. მდინარის კალაპოტისა და ნაპირების დამცავი კონსტრუქციის მოწყობა დადებით გავლენას მოახდენს საკვლევი ტერიტორიის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე შესყიდვებისა და დასაქმების თვალსაზრისით, თუმცა პოზიტიური ზემოქმედების მასშტაბი და ხანგრძლივობა, სავარაუდოდ, მცირე იქნება.

2.4 საპროექტო ტერიტორიის ბუნებრივი მახასიათებლები

საპროექტო ტერიტორია მოიცავს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ქსოვრისსა და კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. ოკამს შორის მდებარე მდ. ქსნის კალაპოტს, ჭალასა და ჭალისზედა ტერასულ საფეხურს. ტერიტორია მდებარეობს კავკასიონის სამხრეთი განშტოებების მთისწინეთისა და წლევ-სხალტბის ქედებს შორის მოქცეულ, მუხრან-ნატახტარი ველის ჩრდილო-დასავლეთ კიდეზე, სადაც იხსნება მდ. ქსნის ხეობა.

2.4.1 მდ. ქსნის მოკლე ჰიდროგრაფიული დახასიათება

მდ. ქსანი სათავეს იღებს ყელის მაღალამთიან ქვაბულში არსებული ყელის ტბიდან, 2914,0 მ-ის სიმაღლეზე ზღ.დ.; იგი ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან, სოფ. ხიდისყურთან. მდინარის სიგრძე 84 კმ-ია, საერთო ვარდნა - 2439 მ, საშუალო ქანობი - 29,0‰, წყალშემკრები აუზის ფართობი - 885 კმ², ხოლო აუზის საშუალო სიმაღლე 1470 მ-ია. მდინარეს ერთვის 330 შენაკადი, საერთო სიგრძით 715 კმ. მათგან მნიშვნელოვანია მდ. ცხრაძმა (15კმ), მდ. ჩურთა (18კმ) და მდ. ალეურა (21კმ).

მდინარის წყალშემკრები აუზის ზედა ნაწილი მდებარეობს კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე, შუა და ქვედა ნაწილი კი - შიდა ქართლის ვაკეზე. გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ კირქვები, თიხაფიქლები, ქვიშაქვები და კონგლომერატები. ყელის ქვაბულის ფარგლებში ჭარბობს ვულკანური წარმონაქმნები - ანდეზიტები და ბაზალტები, აუზის ნიადაგური საფარი წარმოდგენილია მთა-მდელოს, ტყის ყომრალი და ძველი ალუვიური ყავისფერი ნიადაგებით.

2000 მეტრის ზემოთ გავრცელებულია ალპური და სუბალპური მდელოები, რომლებიც გამოიყენება საძოვრებად. 2000 მ-დან 1000 მ-მდე გავრცელებულია ფოთლოვანი ტყე, ხოლო დაბლობის და მთისწინეთის დიდი ნაწილი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარეს მთელ სიგრძეზე მიუყვება 50-80 მ სიგანის ორმხრივი ტერასა, რომელიც ათვისებულია ბაღებით, სახნავებით და ბოსტნებით.

მდინარის კალაპოტი ზომიერად კლაკნილი და სოფ. კორინთას ქვემოთ დატოტილია. მდინარის სიგანე მერყეობს 4-დან 30 მეტრამდე, სიღრმე - 0,3-0,7 მ-დან 1-2 მ-მდე, დინების სიჩქარე ცვალებადობს 2-3,5 მ/წმ-დან 0,8-1,5 მ/წმ-მდე. მდ. ქსანი საზრდოობს თოვლის, წვიმის

და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით, შემოდგომის წყალმოვარდნებით და ზაფხულისა და ზამთრის არამდგრადი წყალმცირობით.

მდინარის წლიური ჩამონადენი სეზონებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: გაზაფხულზე ჩამოედინება წლიური ჩამონადენის 30-35%, ზაფხულში - 19-20%, შემოდგომაზე - 13-15%, ზამთარში - 10-12 %.

მდ. ქსანი გამოიყენება ირიგაციული და ენერგეტიკული დანიშნულებით. 1955 წლიდან მდინარეზე ფუნქციონირებს თეზი-ოკამისა და თელოვანის რუს მაგისტრალური არხები. თეზი-ოკამის მაგისტრალური არხი წყალს აწვდის იგოეთისა და ოკამის ჰესებს.

მდ. ქსნის წყალშემკრები აუზის ფართობი WREP ნავთობსადენის მიწისქვეშა გადასასვლელის კვეთში 740 კმ²-ს უტოლდება.

2.4.2 წყლის მაქსიმალური ხარჯები

მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯები ბაქო-სუფსის ნავთობსადენის (WREP) კვეთში დადგენილია ანალოგის მეთოდით. ანალოგად შერჩეულია ჰიდროლოგიური საგუშაგო ქსანი-კორინთას მონაცემები.

მდ. ქსანზე დაკვირვებები მდინარის ჩამონადენზე მიმდინარეობდა ჰ/ს კორინთას კვეთში 52 წლის (1932,1938,1941-1966,1968-1991 წწ), ჰ/ს ახალგორის კვეთში 19 წლის (1966-69,1972-86 წწ) და ჰ/ს ქსოვრისის კვეთში 20 წლის (1967-86 წწ) განმავლობაში. დაკვირვების მონაცემების ანალიზმა გამოავლინა, რომ ჰ/ს ახალგორისა და ჰ/ს ქსოვრისის დაკვირვების მასალები მიახლოებითი და არასაიმედოა. ამიტომ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ანალოგად ჰ/ს კორინთას 52-წლიანი მონაცემების გამოყენების შესახებ. აღნიშნულ კვეთში მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯების დაკვირვებული სიდიდეები მერყეობდა 16,9 მ³/წმ-დან (1977 წ) 262 მ³/წმ-მდე (1952 წ).

ჰიდროლოგიურ საგუშაგო კორინთას კვეთში მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯების 52-წლიანი მონაცემების ვარიაციული რიგის სტატისტიკური დამუშავების შედეგად უდიდესი დამაჯერებლობის მეთოდით, როდესაც პარამეტრები C_v და C_s განისაზღვრება სპეციალური ნომოგრამების მეშვეობით, როგორც სტატისტიკური λ_2 და λ_3 -ის ფუნქცია, მიღებულია განაწილების მრუდის შემდეგი პარამეტრები:

- მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური სიდიდე $Q_0 = \frac{\sum Q_i}{n} = 66,3$ მ³/წმ
- ვარიაციის კოეფიციენტი, როდესაც $\lambda_2 = \frac{\sum \lg K}{n-1} = -0,103$ და $\lambda_3 = \frac{\sum K \lg K}{n-1} = +0,103$ -ს, $C_v = 0,77$, ხოლო ასიმეტრიის კოეფიციენტი $C_s = 3,5 C_v = 2,695$

დადგენილია ვარიაციული რიგის რეპრეზენტატიულობის შესაფასებელი პარამეტრები, რაც დასაშვებ ფარგლებშია, რადგან მაქსიმალური ხარჯების საშუალო მრავალწლიური ხარჯის შეფარდებითი საშუალო კვადრატული ცდომილება ტოლია $\varepsilon_{Q_0} = 10\%$ -ის ($\varepsilon_{Q_0} \approx 10\%$), ხოლო ვარიაციის კოეფიციენტის შეფარდებითი საშუალო კვადრატული ცდომილება – $\varepsilon_{C_v} = 9\%$ ($\varepsilon_{C_v} < 10\%$).

განაწილების მრუდის მიღებული პარამეტრებისა და სამპარამეტრიანი გამა-განაწილების ორდინატების მეშვეობით, დადგენილია მდ. ქსნის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები ჰ/ს კორინთას კვეთში.

გადასვლა ანალოგის კვეთიდან (ჰ/ს კორინთა) საპროექტო, ანუ WREP-ის კვეთში განხორციელებულია გადამყვანი კოეფიციენტის მეშვეობით, რომლის მნიშვნელობა მიიღება წყალშემკრები აუზების ფართობების შეფარდებით. აღნიშნულ გამოსახულებას შემდეგი სახე გააჩნია:

$$K = \frac{F_{sapr.}}{F_{an.}}$$

სადაც $F_{sapr.}$ მდ. ქსნის წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო, ანუ WREP ნავთობსადენის კვეთში, რომელიც ტოლია $F_{sapr.} = 740$ კმ²-ს;

$F_{an.}$ მდ. ქსნის წყალშემკრები აუზის ფართობია ანალოგის, ანუ ჰ/ს კორინთას კვეთში. ჰ/ს კორინთის კვეთში $F_{an.} = 461$ კმ²-ს.

მოცემული რიცხვითი სიდიდეების შეყვანით ზემოთ მოყვანილ გამოსახულებაში, მიიღება ანალოგიდან საპროექტო კვეთში გადამყვანი კოეფიციენტის სიდიდე, რაც ტოლია 1,605-ის. ჰ/ს კორინთას კვეთში დადგენილი წყლის მაქსიმალური ხარჯების გადამრავლებით გადამყვან კოეფიციენტზე მიიღება წყლის მაქსიმალური ხარჯები საპროექტო, ანუ WREP-ის კვეთში. მიღებული შედეგები მოცემულია ქვემოთ, მე-4 ცხრილში.

ცხრილი 4 ანალოგის მეთოდით დადგენილი მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯები, მ³/წმ

კვეთი	F კმ ²	Q ₀ მ ³ /წმ	Cv	Cs	K	უზრუნველყოფა P%				
						0.5	1	2	5	10
ანალოგი	461	66.3	0.77	2.695	-	305	255	225	160	125
WREP	740	106	-	-	1,605	490	410	360	260	200

ანალოგის მეთოდით დადგენილი წყლის მაქსიმალური ხარჯების მიღებული სიდიდეების გადამოწმების მიზნით, მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯები WREP-ის კვეთში, ასევე განისაზღვრა ემპირიული-რეგიონალური ფორმულით, რომელიც გამოყვანილია მდ. ქსნის აუზის მდებარეობის რაიონისთვის და მოცემულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკურ მითითებაში“. აღნიშნულ ემპირიულ-რეგიონალურ ფორმულას, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობი საანგარიშო კვეთში აღემატება 300 კმ²-ს, შემდეგი სახე გააჩნია:

$$Q_{5\%} = \left[\frac{10}{(F + 1)^{0.50}} \right] \cdot F \text{ მ}^3/\text{წმ}$$

სადაც $Q_{5\%}$ -5%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯია მ³/წმ-ში;
 F -წყალშემკრები აუზის ფართობია საპროექტო კვეთში, რომელიც 740 კმ²-ია.

წყალშემკრები აუზის ფართობის შეყვანით ზემოთ მოყვანილ რეგიონალურ ფორმულაში მიიღება მდ. ქსნის 5%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯის სიდიდე WREP ნავთობსადენის კვეთში. 5%-იანი უზრუნველყოფიდან სხვადასხვა უზრუნველყოფებზე გადასვლა ხორციელდება იმავე ტექნიკურ მითითებაში მოცემული გადამყვანი კოეფიციენტების მეშვეობით.

მდ. ქსნის სხვადასხვა უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯები WREP-ის კვეთში, დადგენილი ზემოთ მოყვანილი ემპირიულ-რეგიონალური ფორმულით, მოცემულია მე-5 ცხრილში.

ცხრილი 5 მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯები WREP-ის კვეთში

უზრუნველყოფა $P\%$	0.5	1	2	5	10
ხარჯი Q მ ³ /წმ	485	415	360	275	220

როგორც წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, ორივე მეთოდით მიღებულ საანგარიშო უზრუნველყოფის ხარჯებს შორის მეტად უმნიშვნელო (1,02%) განსხვავებაა. აქედან გამომდინარე, მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯები, მოცემული მე-4 ცხრილში, მიღებულია საანგარიშო სიდიდეებად საანგარიშო, ანუ WREP ნავთობსადენის კვეთში.

2.4.3 წყლის მაქსიმალური დონეები

საპროექტო უბანზე მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულების დასადგენად გადაღებული იქნა კალაპოტის განივი კვეთები, რომელთა საფუძველზე განისაზღვრა მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტები. აღნიშნული ჰიდრაულიკური ელემენტების მიხედვით განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q = f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება, რომლებიც ერთმანეთთან შებმულია ორ მეზობელ კვეთს შორის ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობის შერჩევის გზით. წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q = f(H)$ დამოკიდებულების მრუდები აგებულია არსებულ პირობებში.

ნაკადის საშუალო სიჩქარე კვეთში ნაანგარიშევაა შეზი-მანინგის ცნობილი ფორმულით, რომელსაც შემდეგი სახე გააჩნია:

$$V = \frac{h^{2/3} \cdot i^{1/2}}{n}$$

h – ნაკადის საშუალო სიღრმეა კვეთში მ-ში;

i - ნაკადის ჰიდრაულიკური ქანობია ორ მეზობელ კვეთს შორის;

n - კალაპოტის სიმქისის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე სპეციალური გათვლების საფუძველზე მიღებულია 0,048-ის, ხოლო #4 განივზე, კალაპოტის სტაბილიზაციის მიზნით ქვაყრილით მოწყობილი ბარაჟის გათვალისწინებით, 0,065-ის ტოლი. ჭალის სიმქისის კოეფიციენტი, ბუჩქნარით დაფარული ზედაპირის გათვალისწინებით, მიღებულია 0,067-ის ტოლი.

ქვემოთ, მე-6 ცხრილში, მოცემულია მდ. ქსნის სხვადასხვა განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები საპროექტო უბანზე.

ცხრილი 6 მდ. ქსნის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეები

განივის #	მანძილი განივებს შორის მ-ში	წყლის ნაპირის ნიშნული მ.აბს.	ფსკერის უდაბლესი ნიშნული მ.აბს.	წ. მ. დ.				
				$\tau = 200$ წელს, Q=490 მ ³ /წმ	$\tau = 100$ წელს, Q=410 მ ³ /წმ	$\tau = 50$ წელს, Q=360 მ ³ /წმ	$\tau = 20$ წელს, Q=260 მ ³ /წმ	$\tau = 10$ წელს, Q=200 მ ³ /წმ
2	275 19.8 18.2 242 265	640.53	639.83	642.00	641.90	641.80	641.70	641.60
3		637.70	636.85	639.20	639.00	638.90	638.70	638.60
1_WREP		637.60	637.25	639.00	638.80	638.70	638.50	638.40
4		637.30	636.85	638.50	638.40	638.30	638.20	638.00
5		634.75	634.11	636.30	636.20	636.10	636.00	635.90
6		632.50	631.89	633.80	633.60	633.50	633.40	633.30

საპროექტო ნახაზებზე (იხ. ნახ. 3), მდ. ქსნის კალაპოტის განივ კვეთებზე, დატანილია 200-წლიანი და 10-წლიანი განმეორებადობის წყლის მაქსიმალური ხარჯების შესაბამისი დონეების ნიშნულები.

მდინარის ჰიდრაულიკური ელემენტები, რომელთა საფუძველზე განხორციელდა წყლის მაქსიმალურ ხარჯებსა და დონეებს შორის $Q = f(H)$ დამოკიდებულების მრუდების აგება, მოცემულია მე-7 ცხრილში.

ცხრილი 7 მდ. ქსნის ჰიდრაულიკური ელემენტები

ნიშნულები მ.აბს.	კვეთის ელემენტები	კვეთის ფართობი ამ ²	ნაკადის სიგანე B მ	საშუალო სიღრმე h მ	ნაკადის Q ქანობი i	ნაკადის სიჩქარე Mv მ/წმ	წყლის ხარჯი Q მ ³ /წმ
განივი #6							
632.50	კალაპოტი	8.22	21.7	0.38	0.0098	1.08	8.88
633.00	კალაპოტი	60.2	126	0.48	0.0098	1.26	75.8
633.50	კალაპოტი	133	141	0.94	0.0098	1.98	263
633.50	მარცხ.ჭალა	70.6	84.5	0.84	0.0098	1.31	92.5
	Σ	204	226				356
634.00	კალაპოტი	204	142	1.44	0.0098	2.63	536
634.00	მარჯვ.ჭალა	114	95.0	1.20	0.0098	1.67	190
634.00	მარცხ.ჭალა	68.9	71.9	0.96	0.0098	1.44	99.2
	Σ	387	309				825
განივი #5 L = 265 მ.							
634.75	კალაპოტი	6.74	19.1	0.35	0.0085	0.95	6.40
635.50	კალაპოტი	28.0	37.5	0.75	0.0100	1.72	48.2
635.50	მშრალი კალ.	3.55	31.5	0.11	0.0100	0.47	1.67
	Σ	31.6	69.0				49.9
636.00	კალაპოტი	126	178	0.71	0.0100	1.66	209
636.00	მარჯვ.ჭალა	46.8	77.4	0.60	0.0100	1.06	49.6
636.00	მარცხ.ჭალა	18.3	80.5	0.23	0.0100	0.56	10.2
	Σ	191	336				269
636.50	კალაპოტი	216	180	1.20	0.0097	2.32	501
636.50	მარჯვ.ჭალა	86.2	80.0	1.08	0.0097	1.55	134
636.50	მარცხ.ჭალა	61.9	94.0	0.66	0.0097	1.11	68.7
	Σ	364	354				704

ნიშნულები მ.აბს.	კვეთის ელემენტები	კვეთის ფართობი აMმ²	ნაკადის სიგანე B მ	საშუალო სიღრმე h მ	ნაკადის Q ქანობი i	ნაკადის სიჩქარე Mv მ/წმ	წყლის ხარჯი Q მ³/წმ
განივი #4 L L=242 მ							
637.30	კალაპოტი	16.8	57.3	0.29	0.0105	0.69	11.6
638.00	კალაპოტი	172	238	0.72	0.0088	1.16	200
638.50	კალაპოტი	292	240	1.22	0.0090	1.67	488
638.75	კალაპოტი	352	242	1.45	0.0095	1.92	676
განივი #1 L L=18.2 მ WREP)							
637.60	კალაპოტი	15.5	45.0	0.34	0.0165	1.30	20.2
638.50	კალაპოტი	96.4	130	0.74	0.0220	2.53	244
639.00	კალაპოტი	173	176	0.98	0.0220	3.05	528
განივი #3 L L=19.8 მ							
637.70	კალაპოტი I	13.4	28.0	0.48	0.0050	0.90	12.1
637.70	კალაპოტი II	<u>0.40</u>	<u>5.00</u>	0.08	0.0050	0.27	<u>0.11</u>
	Σ	13.8	33.0				12.2
638.50	კალაპოტი	47.8	52.0	0.92	0.0090	1.87	89.4
638.50	მარცხ.ჭალა	<u>60.7</u>	<u>58.5</u>	1.04	0.0090	1.45	<u>88.0</u>
	Σ	108	110				177
639.00	კალაპოტი	118	130	0.91	0.0100	1.96	231
639.00	მარცხ.ჭალა	<u>90.7</u>	<u>61.5</u>	1.47	0.0100	1.93	<u>175</u>
	Σ	209	192				406
განივი #2 L L=275 მ							
640.53	კალაპოტი	8.20	23.6	0.35	0.0103	1.05	8.61
641.00	კალაპოტი	20.6	33.1	0.62	0.0109	1.58	32.5
641.00	მშრ. კალაპ. I	10.3	31.9	0.32	0.0109	1.01	10.4
641.00	მშრ. კალაპ. II	<u>6.14</u>	<u>15.2</u>	0.40	0.0109	1.18	<u>7.24</u>
	Σ	37.0	78.1				50.1
641.50	კალაპოტი	94.8	153	0.62	0.0112	1.60	152
642.00	კალაპოტი	172	158	1.09	0.0106	2.27	390
642.00	მარჯვ.ჭალა	19.1	85.0	0.22	0.0106	0.56	10.7
642.00	მარცხ.ჭალა	<u>76.0</u>	<u>70.0</u>	1.08	0.0106	1.62	<u>123</u>
	Σ	267	313				524

2.4.4 კალაპოტის ზოგადი გარეცხვის სიღრმე

